

ᄃ

დებისგან ისევ მივიღე ცნობა
და მოქანცული ბაღში მოვედი.
ეს არის ფიქრი, ეს არის გრძნობა
და ეს დარდია დაღლილ პოეტის.

ღმერთო! მძიმეა ჩემი სხეული,
რას ვუცდი, ანდა ვის ველოდები.
მე ვზივარ ბაღში გარინდებული
და შრიალებენ ცაცხვის ფოთლები.

დღეს იბადება ასეთი აზრი:
სად არის ძირი ჩემი წამების.
ცარიელია, არავინ არ ზის,
ცარიელია ბაღის სკამები.

და ირხევინ ისევ რტოები
და სადღაც დგანან შორს ალუჩები.
აღბათ ბაღს უფრო აფართოებენ
და მუშაობენ ბაღში მუშები.

დებისაგან ისევ მივიღე ცნობა
და მოქანცული ბაღში მოვედი.
ეს არის ფიქრი, ეს არის გრძნობა,
ეს არის დარდი დაღლილ პოეტის.